# ბრძანებანი

## საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

26 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 6

სამხედრო სასამართლოს პროკურორმა შეატყობინა სამხედრო მინისტრს, რომ სამხედრო გამომძიებელთაგან არა ერთხელ მოსვლია და მოსდის განცხადებანი იმის შესახებ, რომ მათ კანონიერ მოთხოვნა—ბრალდებულების, მოწმად გამოწვეულების და სხვათა მოძებნის შესახებ თავის დროზედ არ ასრულებენ არც სამხედრო და არც საადმინისტრაციო პირები, ხანდახან კი ასეთი მოთხოვნა სრულებით უყურადღებოთ რჩება, რის გამოც საქმეთა წარმოება ფერხდება, და ხშირად თვით გამომძიებლებს უხდებათ მოწმების და ბრალდებულების ძებნა ნაცნობების საშუალებით.

ასეთის არა ნორმალის წესის მოსასპობად, სამხედრო მინისტრმა ბრძანა ყველა ჯარის უფროსებს ეცნობოს, რომ ისინი მოვალენი არიან დაუყოვნებლად და სისწორით შეასრულონ ხოლმე სამხედრო გამომძიებლების კანონიერი მოთხოვნა წინასწარი გამოძიების შესახებ.

26 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 7

სამხედრო მინისტრმა ბრძანა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. 2 მუხ. 1918 წ. 5 ივლისის სალიკვიდაციო კანონისა დამფუძნებელი კრების მიერ შეცვლილია 1919 წლის 13 აპრილს და ახალი რედაქცია მისი ასეთია:

მუხ. 2. მოსამსახურენი, რომელთაც იმსახურეს წელიწადზე მეტი 1 მუხ. აღნიშნულის დახმარების გარდა, მიიღებენ ჯილდოთ ნამსახურ დროისთვის, შემდეგის ზომით: პირველის ხუთის წლის განმავლობაში ყოველის წლის სამსახურისთვის (პირველ წელს გარდა) ორი კვირის ჯამაგირს; მეორე ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წლისთვის ერთი კვირის ჯამაგირს და მესამე ხუთი წლის და მეტის დროის განმავლობაში ყოველ წლისათვის ნახევარი კვირის ჯამაგირს.

**შენიშვნა.** 1. დაჯილდოების ანგარიშის დროს ექვს თვეზე მეტი სამსახური ჩაეთვლება წლად.

2. ის პირები, რომელნიც ღებულობენ ხაზინიდან პენსიას ან საპენსიო დახმარებას, ჰკარგავენ უფლებას მიიღონ ჯილდო მე-2 მუხ. ნაჩვენები.

თანახმად მიმდინარე წლის 10 ივნისის მთავრობის დადგენილებისა, მე-2 მუხლი ახალი რედაქციით ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც დათხოვნილნი არიან დამფუძნებელი კრების მიერ ამ ცვლილების მიღების დღიდან, ე. ი. 15 აპრილიდან 1819 წ. 15 აპრილამდის დათხოვილებზე, თუნდაც მათ არ მიეღოთ საბოლოო ანგარიში 15 აპრილამდის, ეს მუხლი ახალი რედაქციით არ ვრცელდება, არამედ მათთვის რჩება მე-2 მუხლი 1918 წ. 5 ივლისის რედაქციით.

სამხედრო სამინ. საერთო განყოფილების
უფროსი, გენერალ-მაიორი **ქავთარაძე,**